 სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”

03/10/2024

MES 8 24 001-04/169

ბრძანება №01-04/169
სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის” სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის წევრობის: თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელის არჩევის მიზნით მსურველ კანდიტადთა რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯომარის 2024 წლის 02 ოქტომბრის N1254746 მომართვის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა’’ წესდების და ამავე წესდების მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 მუხლის, ამასთან მე-5 მუხლის ,,ი“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის’’ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის წევრობის: თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელის არჩევის მიზნით მსურველ კანდიტადთა რეგისტრაციის ვადა განსაზღვროს 2024 წლის 03 ოქტომბრიდან 2024 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, 09:30 საათიდან 18:00 საათის ჩათვლით (სამუშაო საათებში/დღეებში) ქ. ქობულეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა N154. კოლეჯის ადმინისტრაციული (სამსართულიანი) შენობა მე-2 სართული (საკონტაქტო ტელ: 0426 26 68 51, 551 17 17 11);
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს დირექტორი უფლებამოსილ პირთა მიერ კოლეჯში წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით კოლეჯში მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ვადით;
3. სამეთვალყურეო საბჭოს თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელ კანდიდატთა საყურადღებოდ: სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საქმიანობა არაანაზღაურებადია;
4. თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება წარმოიშობა კოლეჯის წესდებით დადგენილი წესით;
5. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოთ კოლეჯის დირექტორის მოადგილე ბატონ კახა ბოლქვაძეს, კოლეჯის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერ ბატონ ჭაბუკი ვერულიძეს, სასწავლო პროცესის მენეჯერ ქალბატონ ნატო რომანაძეს, ხარისხის მართვის მენეჯერ ქალბატონ ნათია ევგენიძეზ, საზოგადოებასთან ურთიერთობების მართვის მენეჯერ ქალბატონ ნინო მჟავანაძეს;
6. საჯაროობის მიზნით ბრძანების განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს;

7. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მეგრელიძე ირმა

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა
ელექტრონულად
ამონაბეჭდი